საქართველოს მთავრობის

დადგენილება №209

2017 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2016, 470000000.10.003.019705) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6

დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, განახორციელოს ცვლილებები „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში;

ბ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამინისტროსთვის დამტკიცებულ პროგრამულ კლასიფიკაციას დაამატოს პროგრამული კოდი – „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 35 03 03 11) და განახორციელოს ცვლილებები კვარტალურ განწერაში;

გ) უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებები დადგენილების №22 დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ისათვის (დისტრიბუტორ(ებ)ისათვის) საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან გათავისუფლების მიზნით.“.

2. დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამებს დაემატოს დანართი №22 – ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 26 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

„დანართი №22

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეა პირი, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების

მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მასზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მედიკამენტს იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 3. მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას;

ბ) ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას;

გ) დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას;

დ) ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას;

ე) ლოჯისტიკის კომპონენტს – ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლეებზე.

2. მედიკამენტების ჩამონათვალი განისაზღვრება №22.1 დანართით.

მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მოსარგებლეებისათვის გათვალისწინებულია მომსახურების ღირებულების გადახდა მედიკამენტ(ებ)ის თითოეული გატანისას, გატანილი მედიკამენტ(ებ)ის ღირებულების 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 0,05 (5 თეთრი) ლარისა და არაუმეტეს 1 (ერთი) ლარისა.

2. დაუშვებელია მოსარგებლისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელის გარდა, სხვა რაიმე გადასახდელის გადახდევინება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხა დისტრიბუტორ(ებ)ის მიერ ირიცხება პროგრამის განმახორციელებლის ანგარიშზე, განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4. დისტრიბუტორი მოსარგებლის მხრიდან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდისას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თავისუფლდება საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ბენეფიციართათვის ხორციელდება არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 6. მომსახურების მიმწოდებელი

ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება ამავე პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი

პროგრამის განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **3 360.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა	1 900,0
2	ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა	850,0
3	დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა	130,0
4	ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა	30,0
5	ლოჯისტიკის კომპონენტი	450,0
	სულ:	3 360,0.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) უნდა იყოს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვების უფლების მქონე, დაშვებული შეფუთვა-მარკირებით;

ბ) რეგისტრირებული უნდა იყოს „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №188 დადგენილებით (შემდგომში – №188 დადგენილება) განსაზღვრული შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზარზე, რაც უნდა დადასტურდეს:

ბ.ა) №188 დადგენილების დანართით განსაზღვრული შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ, მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზარზე დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტით;

ბ.ბ) ან წარდგენილი უნდა იყოს ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ რეკომენდებული ფორმით, გაცემული ბოლო ერთი წლის განმავლობაში, №188 დადგენილების დანართით განსაზღვრული მარეგულირებელი ორგანოს მიერ, №188 დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის ან საქართველოს ბაზრისთვის;

გ) იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი არ აკმაყოფილებს ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, წარდგენილ უნდა იქნეს WHO-ის პრეკვალიფიცირებული ლაბორატორიის მიერ ფარმაცევტული პროდუქტის თითოეულ ჯერზე მოსაწოდებელი ფარმაცევტული პროდუქტის კონკრეტულ სერიაზე გაცემული ხარისხის სერთიფიკატი/ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს, რომ შემოთავაზებული ფარმაცევტული პროდუქტი აკმაყოფილებს მწარმოებლის სპეციფიკაციით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

2. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

ა) №22.1 დანართით განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის შეუფერხებელი მიწოდება ქ. თბილისსა და რეგიონებში;

ბ) ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფა;

გ) საჭიროების შემთხვევაში, განმახორციელებლის სახელზე შემოსული ტვირთ(ებ)ის განბაჟებისათვის საჭირო ყველა პროცედურის უზრუნველყოფა;

დ) განმახორციელებლის მიერ შესყიდული ფარმაცევტული პროდუქტის გაცემა/განაწილება ბენეფიციარებზე განახორციელოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის (მონაცემების) და თვითონ ბენეფიციარის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის და ექიმის რეცეპტის წარდგენის საფუძველზე;

ე) განმახორციელებლის მიერ დადგენილი სხვა პირობების შესრულება.

3. დაუშვებელია ბენეფიციარზე ერთ ჯერზე 3 თვის სამყოფ ოდენობაზე მეტი ფარმაცევტული პროდუქტის გაცემა.

დანართი №22.1

№	**მედიკამენტი**	**საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება**	**ფორმა**	**დოზა**
1	ენალაპრილი	Enalapril (as Enalapril Maleate)	ტაბლეტი	20 მგ
				10 მგ
2	ლოსარტანი	Losartan (as Losartan Potassium)	ტაბლეტი	100 მგ
3	ამლოდიპინი	Amlodipine (as Amlodipine Besilate)	ტაბლეტი	5 მგ
4	მეტოპროლოლი	Metoprolol (as Metoprolol Tartrate)	ტაბლეტი	100 მგ
5	ამიოდარონი	Amiodarone (as Amiodarone Hydrochloride)	ტაბლეტი	200 მგ
6	იზოსორბიდის დინიტრატი	Isosorbide Dinitrate	ტაბლეტი	10 მგ
7	ვარფარინი	Warfarin (as Warfarin Sodium)	ტაბლეტი	2,5 მგ
8	კლოპიდოგრელი	Clopidogrel (as Clopidogrel Hydrogen Sulphate)	ტაბლეტი	75 მგ
9	დიგოქსინი	Digoxine	ტაბლეტი	0,25 მგ
10	ფუროსემიდი	Furosemide	ტაბლეტი	40 მგ
11	სპირონოლაქტონი	Spironolactone	ტაბლეტი	25 მგ

12	ატორვასტატინი	Atorvastatin (as Atorvastatin Calcium)	ტაბლეტი	20 მგ
13	მეტფორმინი	Metformin (as Metformin Hydrochloride)	ტაბლეტი	1000 მგ
14	გლიკლაზიდი	Gliclazide	ტაბლეტი	60 მგ
15	გლიმეპირიდი	Glimepiride	ტაბლეტი	2 მგ
16	თიამაზოლი	Thiamazole	ტაბლეტი	5 მგ
17	ლევოთიროქსინი	Levothyroxine Sodium	ტაბლეტი	50 მკგ
18	ბუდესონიდი	Budesonide	დოზირებული სანებულიზაციო ხსნარი ერთჯერად კონტეინერში	0,5 მგ/მლ 2 მლ
19	ალბუტეროლი	Salbutamol (USAN: Albuterol Sulfate)	დოზირებული სანებულიზაციო ხსნარი ერთჯერად კონტეინერში	2,5 მგ/0,5 მლ 0,5მლ
20	ბუდესონიდი	Budesonide	საინჰალაციო დოზირებული აეროზოლი	200 მკგ/დოზა
21	სალმეტეროლი/ფლუტიკაზონი	comb. drug (Salmeterol Xinafoate/ Fluticasone Propionate)	საინჰალაციო ფხვნილი	50 მკგ/250 მკგ
22	სალბუტამოლი	Salbutamol (as Salbutamol Sulphate)	საინჰალაციო აეროზოლი	100 მკგ/დოზა
23	თიოტროპიუმის ბრომიდი	Tiotropium Bromide	საინჰალაციო ფხვნილი (კაფსულა) ინჰალატორთან ერთად	18 მკგ/დოზა
24	მეთილპრედნიზოლონი	Methylprednisolone	ტაბლეტი	16 მგ.“.